

ქართულ-ოსური კავშირი “იბერ-ირონი”

სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ-
სამართლებრივი სტატუსის კონცეფცია

ქართულ-ოსური კავშირი “იბერ-ირონი”

სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ-
სამართლებრივი სტატუსის კონცეფცია

თბილისი
2005

სამხრეთ ოსეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის
კონცეფცია – მაია ცაბოშვილის საერთო რედაქციით.
ქართულ-ოსური კავშირი “იბერ-ირონი”, თბილისი, 2005

გამოცემულია ბრიტანეთის საბჭოს დახმარებით

Conception of political-legal status of the Republic of South-Ossetia
Maia Tsaboshvili (ed.), Georgian-Osetian Union “IBER-IRONI”,
Tbilisi, 2005

Published with the support of the British Council

შინაარსი

ზოგადი განცხადება.....	5
პოლიტიკურ - სამართლებრივი სტატუსი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონტექსტში.....	6
სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ- სამართლებრივი სტატუსი.....	7
არჩევნები.....	8
შეთანხმება უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ.....	11
დანამატი სამხედრო საკითხების შესახებ.....	15
დანამატი ეკონომიკური საკითხების შესახებ.....	16
შეთანხმება რესტიტუციის შესახებ.....	17
სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ- სამართლებრივი სტატუსის გარანტორი.....	17

1. ზოგადი განცხადება

11. წინამდებარე კონცეფცია არ წარმოადგენს დასრულებული სახის მქონე დოკუმენტს, რომელიც დაწერილებით საზღვრავს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირების ჩარჩოებსა და მექანიზმს. იგი სასურველ ძალისხმევათა მიმართულების ერთგვარი მიმცემია და ძირითადად, საკითხის გადაწყვეტის შინაარსობრივ სიმკვლეებზე (სტატუსი, ტერიტორიული მოწყობა, უფლებამოსილებათა გამიჯვნა და ა.შ.) ამახვილებს ყურადღებას. რასაკვირველია, დისკუსიების საფუძველზე მოსალოდნელია კონცეფციაში კორექტივების შეტანა და მისი პოლიტიკურ მოთხოვნებებთან მისადაგება.

12. კონცეფციის ავტორები ითვალისწინებენ რა გადადგმული ნაბიჯის მნიშვნელობას, ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ წინამდებარე კონცეფცია, რომელიც ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის პოლიტიკურ – სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს, უნდა ითვალისწინებდეს ორი ხალხის ერთიან სახელმწიფოში წარმატებული ცხოვრების ხანგრძლივ ტრადიციას. ამასთან ერთად, ის ამახვილებს ყურადღებას ქართული და ოსური მხარის წარმომადგენელთა კეთილ ნებასა და პასუხისმგებლობაზე ურთიერთდაახლოების პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას და საფუძველი უნდა ჩაუყაროს ორ ხალხს შორის ურთიერთობების დინამიურ განვითარებას როგორც მაღალ პოლიტიკურ, ისე სოციალურ – კულტურულ დონეებზე.

13. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი მჭიდრო კავშირშია აფხაზეთის პოლიტიკური საკითხის პრობლემატიკასთან და მათი ცალ-ცალკე განხილვა პრაქტიკულად შეუძლებელია. დაუშვებელია აფხაზეთა განსაკუთრებულობის აღიარება და ოსებთან შედარებით განსხვავებული, გაცილებით მაღალი დონის თვითმმართველობის სტატუსის მინიჭება. ამგვარი ნაბიჯი დაძაბულობას გამოიწვევს ოსურ მხარეში. ამრიგად ოსებისა და აფხაზების პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი ერთდროულად და ერთ დონეზე უნდა განისაზღვროს.

14. სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრისას, ავტორები შეეცადნენ ოსური მხარის შესაძლებელ მოთხოვნათა მაქსიმალურ გათვალისწინებას, რაც ერთის მხრივ, ოსური მხარის მოლაპარაკებების გამართვაზე დაყოლიებასა და მეორეს მხრივ კონტრაპროდუქტიული წინადადებების წამოყენების თავიდან აცილებას ემსახურება.

15. ცნება “ავტონომია” არ უნდა გაიგვიდეს საბჭოური გაგების ავტონომიურობასთან და არ გამოხატავს პოლიტიკურ ადმინისტრაციულ ერთეულს, არამედ თვისებას დამოუკიდებლად მოქმედებისა და გადაწყვეტილების მიღებისა კონსტიტუციით მკვეთრად განსაზღვრულ ჩარჩოებში.

2. პოლიტიკურ - სამართლებრივი სტატუსი საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონტექსტში

2.1 პირველადი პრინციპები

2.1.1 საქართველო წარმოადგენს ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეს, მხოლოდ მას აქვს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსი და მისი დაყოფა დანაწევრება გარდა საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული შემთხვევებისა დაუშვებელია.

2.1.2 საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტი ვრცელდება მთელ მის ტერიტორიაზე და გამომდინარეობს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ჩატარებული საყოველთაო, პირდაპირი და დემოკრატიული არჩევნებიდან. საქართველოს სახელმწიფო საზღვრები აღიარებულია 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საერთაშორისო საზოგადოების მიერ. დაუშვებელია საქართველოს სახელმწიფოს საზღვრების ცალმხრივი შეცვლა, გარკვეული ტერიტორიების გამოყოფა, სხვა სახელმწიფოსთან მიერთება, ან რაიმე სხვა სახის კავშირის დამყარება.

2.1.3 სამხრეთ ოსეთისთვის საქართველოს შემადგენლობაში განსაკუთრებული პოლიტიკური სტატუსის მინიჭება არ განიხილება ცალკე საკითხად, და საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის სფეროს ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნაწილს წარმოადგენს.

2.1.4 სამხრეთ ოსეთისთვის განსაკუთრებული პოლიტიკური სტატუსის მინიჭება უნდა პასუხობდეს ოსი ხალხის კულტურულ-პოლიტიკურ მოთხოვნილებებს და არავითარ შემთხვევაში ლახავდეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს სხვა მოქალაქეების უფლებებს.

2.1.5 სამხრეთ ოსეთის განსაკუთრებული სტატუსი თავისი შინაარსით არ უნდა ჩამოუყარდებოდეს სხვა განსაკუთრებული სუბიექტის (აფხაზეთის) სტატუსს, არ უნდა აქმნიდეს, ამ თვალსაზრისით, დისკრიმინაციის შეგრძნებას ოს ხალხში, ხოლო მეორეს მხრივ - საქართველოს დაშლისა და რღვევის წინაპირობას.

2.2 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი

2.2.1 ძირითადი პრინციპები

2.2.1.1 საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ძირითადი პრინციპია ასიმეტრიული ფედერაციული სისტემა, რომელიც ემყარება ჰორიზონტალური ავტონომიის მინიჭებისა და სუბსიდიარიტეტის¹ პრინციპებს, შედგება ფედერაციის ცენტრალური ხელისუფლებისაგან და ფედერაციის შემადგენელი (შემქმნელი) სუბიექტებისაგან: განსაკუთრებული სტატუსის მქონე სუბიექტებისაგან (პირობითად და შემდგომში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები), და ფედერაციის სუბიექტებისაგან (მაგ: აჭარა, სამეგრელო-სვანეთი, კახეთი და ა.შ.)².

2.2.1.2 ფედერაციის შემადგენელი განსაკუთრებული სტატუსის მქონე სუბიექტები (აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები) სუვერენულები³ არიან და გააჩნიათ სახელმწიფოებრიობის ნიშნები: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება. აქვთ პიში. დერბი და კონსტიტუცია. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლებას გააჩნია დამოუკიდებელი ლეგიტიმაციის წყარო - სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა.

2.2.1.3 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორია და ოფიციალური სახელწოდება (სახელწოდებაში მინიშნება ტერიტორიის ოსურ ხასიათზე აუცილებელია! დასაშვებია სახელწოდებაში ქართული და ოსური ექვივალენტების მაგ: "სამხრეთ ოსეთი-ცხინვალის ოლქი" ერთად გამოყენება) განისაზღვრება ან სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის მიერ, ან სპეციალური შეთანხმებით სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლებასა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შიდა ტერიტორიული მოწყობის საკითხი განისაზღვრება სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციის მიერ (საქართველოს ერთიანი სახელმწიფოსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ეთნიკურად ქართველ, ასევე სხვა ეროვნების მოქალაქეთა ინტერესების სრული დაცვისათვის საჭირო გახდება სამხრეთ ოსეთის შიდა ტერიტორიული და პოლიტიკური სტრუქტურის მოწყობის საკითხის წინასწარი შეთანხმება ცენტრალურ ხელისუფლებასთან).

¹ იქ სადაც ადგილობრივი ხელისუფლება ვერ ახორციელებს თავის უფლებას - მოვალეობებს, შესაძლებელია ცენტრ. ხელისუფლების ამოქმედება

² ფედერაციის სუბიექტების ადმინისტრაციულ - ტერიტორიული მოწყობა, უფლება - მოვალეობათა გამიჯვნა ცენტრთან, მონაწილეობა საკანონმდებლო ორგანოში და ხელისუფლების შტოების განაწილება - ის საკითხებია, რომლებიც აქ არ განიხილება კონკრეტულად და დამატებით, ცალკე დოკუმენტით შეიძლება განისაზღვროს.

³ შეზღუდული სუვერენიტეტი, რომელიც ერთა შიდასახელმწიფოებრივი თვითგამორკვევის პრინციპს ემყარება.

2.2.14 ცენტრალურ ხელისუფლებასთან და სხვა მხარეებთან ურთიერთობათა ინტენსიფიკაციის, გაუმჯობესებისა და სხვადასხვა საკითხებზე კონსულტაციების ჩატარების, ასევე კულტურულ – საზოგადოებრივი საქმიანობის თვალსაზრისით, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას უფლება აქვს საქართველოს დედაქალაქში – თბილისში გახსნას თავისი წარმომადგენლობა, თავისი ხელმძღვანელითა და პერსონალით.

2.2.15 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები პირი არის საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქე.

2.2.16 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ოფიციალურ (საქმეთწარმოების) ენად ითვლება ქართული და ოსური. რაც შეეხება ქართული და ოსური ენების ადმინისტრაციულ სფეროებში გამოყენების კონკრეტულ საკითხს და ასევე რუსული ენის პრობლემატიკას – ეს ცალკე შეთანხმების საგანი იქნება.

2.2.2 არჩევნები

2.2.2.1 სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არჩევნები ტარდება იმავე პრინციპით, როგორც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (ღია, პირდაპირი, დემოკრატიული და ა.შ.), არ ეყრდნობა ეთნიკური ან რელიგიური განსხვავებულობის პრინციპს და არის სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა მოქალაქის ნების გამომხატველი.

2.2.2.2 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პარლამენტის არჩევის პერიოდულობა, შემადგენლობა და მუშაობის წესი განისაზღვრება საკუთრივ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით და არ ატარებს სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოქალაქეების დისკრიმინაციის ნიშნებს რაიმე პრინციპით.

2.2.2.3 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა, როგორც ფედერაციის შემადგენელი სუბიექტი (და არა წევრი-სახელმწიფო) სარგებლობს ფედერაციის შემადგენელი სხვა განსაკუთრებული სტატუსის არ მქონე სუბიექტებისაგან განსხვავებით დამატებითი უფლებებით:

✓ ვეტოს უფლება საქართველოს პარლამენტის ქვედა პალატაში; (პირველი ვეტო)

✓ ვეტოს უფლება საქართველოს პარლამენტის ზედა პალატაში (მეორე ვეტო)

2.2.2.3.1 პირველი ვეტო

საქართველოს პარლამენტის ქვედა პალატაში იმ საკითხების განხილვისას, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ სამხრეთ ოსეთის საკითხებთან, გადაწყვეტილების მიღების დროს აუცილებელია პარლამენტის დეპუტატთა შემადგენლობის ხმათა 2/3, მათ შორის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან არჩეული დეპუტატების ხმათა 2/3 (ან სხვა კონსტალაცია).

2.2.2.3.2 მეორე ვეტო

პირველი ვეტოს დაძლევის შემთხვევაში, ის საკითხები რომელთაც უშუალო შეხება აქვთ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან, განსახილველად გადაეცემა საქართველოს პარლამენტის ზედა პალატას – სენატს. სენატი გადაწყვეტილების მიღებისას საჭიროებს სენატის წევრთა ხმების 2/3.

2.2.2.4 სენატის წევრთა ხმები შეიძლება განისაზღვროს როგორც ცალკეულ წევრთა ხმა, ასევე ფედერაციის სუბიექტის წარმომადგენლების ჯამობრივი ხმა, რომელიც წარმომადგენლობის წევრთა ხმების 2/3-ის ამსახველია. ყველა შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის წარმომადგენელთა ხმათა 2/3 (ან სხვა კონსტალაცია).

➤ ამ ვეტოს პრინციპების მიუღებლობის შემთხვევაში დასაშვებია საქართველოს პარლამენტის (რა სახითაც არ უნდა ჩამოყალიბდეს) მიერ მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლა მხოლოდ ფედერაციის განსაკუთრებული სტატუსის მქონე სუბიექტის პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ.

➤ საქართველოში ორპალატიანი პარლამენტის დაარსების შემთხვევაში, ზედა პალატაში ფედერაციის განსაკუთრებულ სუბიექტთა წარმომადგენელთა რაოდენობა და ხმის მიცემის წესი წინასწარ განისაზღვრება ცალკე შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ან საქართველოს განახლებული კონსტიტუციის ნაწილი იქნება ან ცალკე საკონსტიტუციო კანონად დამტკიცდება.

2.2.2.5 საქართველოს პარლამენტში ფედერალიზმთან და ფედერაციის სუბიექტებთან (შეიძლება ვიგულისხმოთ მხოლოდ განს. სტატუსის მქონე სუბიექტები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) დაკავშირებული საკითხების განხილვისას ზედმეტი დავისა და დროის დაზოგვის მიზნით იქმნება

“ფედერალიზმის კომისია”, სადაც პარიტეტულ საწყისებზე (თანაბარი რაოდენობით) წარმოდგენილი იქნებიან ფედერაციის ცენტრისა და სუბიექტების დეპუტატი წარმომადგენლები, ასევე ექსპრტ-კონსულტანტები. ფედერალიზმის კომისიაში მოხდება ზემოთ აღნიშნული საკითხების წინასწარი განხილვა, კონსულტაციები და ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება.

2.2.2.6 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია და ყველა საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციას და საკანონმდებლო აქტებს. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის განსაკუთრებული სტატუსის მქონე სუბიექტებს შორის დადებულ “შეთანხმებას უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ”, ასევე საქართველოს ფედერაციული მოწყობის საკონსტიტუციო კანონს.

2.2.2.7 საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი კონსტიტუციური წესრიგის დამცველი და მაკონტროლებელი ორგანოები საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოებია (შესაძლებელია მათში აფხაზ და ოს წევრთა ჩართვა). იმ შემთხვევაში თუ მოხდა უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპების დარღვევა, დაზარალებულ მხარეს (ცენტრი ან ფედერაციის სუბიექტი), უფლება აქვს გაასაჩივროს სადაო აქტი ხსენებულ ინსტანციებში. სარჩელის მიღებისთანავე სადაო აქტის მოქმედება ჩერდება. დავები განიხილება ურიგოდ, სწრაფ რეჟიმში, და მოკლე ვადების ფარგლებში.

2.2.2.7.1 საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილება – შემოიღოს განსაკუთრებული საპრეზიდენტო მმართველობა ქვეყნის რომელიმე რეგიონში შესაძლებელია გაგრძელდეს ფედერაციის განსაკუთრებული სტატუსის მქონე სუბიექტებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა უხეშად ირღვევა ფედერაციის განსაკუთრებული სტატუსის მქონე სუბიექტის საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანილი კონსტიტუციური წესრიგი და ზოგადად საქართველოს კონსტიტუცია, და მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ¹.

¹ ეს მუხლი ამოქმედდება მხარეების შეთანხმების საფუძველზე და გარკვეული დროის შემდეგ

2.2.3 შეთანხმება უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ

2.2.3.1 საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების ურთიერთობა განისაზღვრება ფედერალური “შეთანხმებით უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ”. ამ შეთანხმების მიხედვით, დადგენილია უფლებამოსილებათა ჩამონათვალი, რომელიც მხოლოდ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების კომპეტენციაში შედის. ის უფლებამოსილებები, რომლებიც ერთობლივ კომპეტენციას მიეკუთვნება, და ის უფლებამოსილებები, რომელიც მხოლოდ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობის სფეროს განეკუთვნება.

2.2.3.2 ამ შეთანხმების ორგანული ნაწილებია ე.წ. “ეკონომიკური კონსტიტუცია” - ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრის დოკუმენტი, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, დამატებით პოსტკონფლიქტურ ზონაში ცენტრისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შეთანხმებულ სპეც. ეკონ. ღონისძიებებს მოიცავს (თავისუფალი ეკონომიკური ზონა თუ საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები, კრედიტები და ა.შ.), ასევე გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღების მექანიზმისა და განაწილების ზუსტ დადგენას და “შეთანხმება რესტიტუციის შესახებ”.

2.2.3.3 უფლება-მოვალეობათა გამიჯვნის საკითხი უარყოფს ნორმათა იერარქიის პრინციპს ფედერაციის ნორმებთან მიმართებაში და ხაზს უსვამს ფედერაციის სუბიექტის, ისევე როგორც ცენტრის უფლებამოვალეობების სფეროს ექსკლუზიურობას, ამ სფეროში სხვის შეუვალობას.

2.2.3.4 უფლება-მოვალეობათა გამიჯვნის შეთანხმება პირველ რიგში ითვალისწინებს ერთიანი ფედერაციული სახელმწიფოს – საქართველოსადმი, სახელმწიფოებრივი ურღვევობის ერთგულების პრინციპს და ყველა მისი დებულება თუ მომდევნო ცვლილება ამ გარემოებას უნდა შეესაბამებოდეს.

2.2.3.5 “შეთანხმება უფლებამოვალეობათა გამიჯვნის შესახებ” შეიძლება გადაისინჯოს რომელიმე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, მეორე მხარის თანხმობით და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მიღებით (რატეიციტირებით) საქართველოსა და ადგილობრივ პარლამენტებში.

2.2.3.6 სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციით (შეიძლება) განისაზღვრ(ოს)ება სამხრეთ ოსეთის სახელწოდება, ტერიტორიის საზღვრები, სახელმწიფო სიმბოლოები (ალამი, ჰიმნი, ღერბი), შიდა

ტერიტორიული დაყოფა, სახელისუფლებო ორგანოების სტრუქტურა, ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, სასამართლო სისტემის ორგანიზაცია, ეკონომიკური და საფინანსო სისტემა.

მოსალოდნელია დღევანდელ ეტაპზე საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით ამ სფეროთა საკითხების გადაწყვეტა ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიღწეული შეთანხმებით (რომელსაც კონსტიტუციური ძალა ექნება) ან ცალკე კონსტიტუციური კანონით.
მაგალითი:

2.2.3.7 სამხრეთ ოსეთის კომპეტენციათა სფეროს განეკუთვნება:

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- სოციალური უზრუნველყოფა;
- ჯანმრთელობის დაცვა, სანიტარული სამსახური და აფთიაქები, თავშესაფრები, ბავშვთა სახლები და ინვალიდთა, მოხუცებულთა სახლები;
- კულტურა, ტრადიციები;
- არქივები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, გამომცემლობა, პოლიგრაფიული საქმე;
- განათლება –მეცნიერება (უნდა მოხდეს წინასწარი შეთანხმება ცენტრთან!!!);
- სპორტი;
- ტურიზმი, კურორტები, ნაკრძალები და პარკები;
- შესაძლებელია სამხრეთ ოსეთს საგარეო ურთიერთობებში მიენიჭოს კულტურულ, სავაჭრო-ეკონომიკურ, რეგიონალური ორგანიზაციების საქმიანობის სფეროებში (ცენტრთან წინასწარი შეთანხმებული ფორმით) მონაწილეობის უფლება;
- შესაძლებელია საკუთარი პოლიციური სისტემის ჩამოყალიბება, ცენტრთან ურთიერთობის ფორმის წინასწარი განსაზღვრის წინაპირობით;
- ფინანსური სისტემა – ცენტრ. ბანკი, საფ-საბიუჯ სისტემა, შიდა გადასახ-მოსაკრებლები, საკუთრება და შემოსავლები (აუცილებელია ცენტრთან ცალკე შეთანხმების მიღწევა მათი ამოღებისა და განაწილების წესის დადგენისათვის);
- ბაზრობები, გამოფენები, სამორინეები, ლატარიები და სხვა გასართობი საქმიანობა;
- საზოგ. წესრიგის დაცვისა და საგზაო პოლიცია;
- ტრადიციული დღესასწაულები და საერთო სახალხო ზეიმები (აუცილებელია წინასწარი შეთანხმება ცენტრთან!!!);
- სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ჯილდოები, საპატიო ნიშნები და წოდებები;

- შიდა საარჩევნო სისტემა
- სასამართლო სისტემა და კანონმდებლობის განვითარება შემდეგ სფეროებში (გარემოს დაცვა; შიდა ადმინისტრაციული კომპეტენცია-აღსრულება, პასუხისმგებლობა; ადგილობრივი ეკონომიკური რესურსები, საბანკო-საკრედიტო და სადაზღვევო რეგულირება; ენერგეტიკა, საოჯახო და სამეწარმეო სამართალი);
- ისტორიული მემკვიდრეობა (მხოლოდ ცენტრთან შეთანხმების საფუძველზე!!!);
- შიდა საავტ. და სარკ. გზები, აეროპორტები და ეროდრომები, ტრანსპორტი, კომუნიკაციები;
- შიდა რესპუბლიკური სატელევიზიო და რადიომაუწყებლობა;
- ბუნებრივი რესურსები;
- ქალაქთმშენებლობა, ბინათმშენებლობა, არქიტექტურა, დაგეგმარება, განაშენიანება;
- შიდა სამრეწველო და სამეურნეო სისტემა (დანადგარები), მეწარმეობა, ხელოსნობა, მომხმარებელთა დაცვა, პროფესიული კავშირები;
- სოფლის მეურნეობა, მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, ვეტერინარული სამსახური, ტყე – სატყეო მეურნეობა, საძოვრები, სამონადირეო საქმე;
- შიდა წყლები, ჰიდრაულიკური ნაგებობები, არხები, სარწყავი სისტემები, თევზჭერა მდინარეებსა და ტბებში;
- სტატისტიკა;
- სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საჯარო მოსამსახურეთა სტატუსი;
- მეტეოროლოგიური სამსახური.

2.2.3.8 საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციის სფეროები:

- უზრუნველყოფს საქართველოს ხალხის თავისუფლებას, ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ქვეყნის დამოუკიდებლობას, ერთიანობას, ეროვნულ უსაფრთხოებას, კულტურულ მრავალფეროვნებასა და მდგრად დემოკრატიულ განვითარებას;
- სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; საჰაერო სივრცის დაცვა;
- სახელმწიფო თავდაცვა, უშიშროება, შეიარაღებული ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა;
- ომისა და ზავის საკითხები, საგანგებო და საომარ მდგომარეობათა რეჟიმების დადგენა, შემოღება;

- საგარეო პოლიტიკა და საერთო. ურთიერთობები;
- საგარეო ვაჭრობა, საბაჟო, ტარიფები;
- სახელმწიფო ფინანსები, სახელმწიფო სესხები, ფულის მოჭრა;
- სახელმწიფო სტატისტიკა, სახელმწიფო და ზუსტი დროის დადგენა;
- საერთო სახ. და საერთო. მნიშვნელობის სარკინიგზო და საგზაო, საჰაერო კომუნიკაციები;
- ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი, კავშირგაბმულობა, ფოსტა;
- საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი;
- შეწყალბები და ამინსტიები (შესაძლებელია ადგილობრივი შეწყალბებისა და ამინსტიის უფლების სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემა);
- ტერორიზმის, ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან ბრძოლა, გამოძიება;
- მოქალაქეობა.

2.2.3.9 ერთობლივი გამგებლობის სფეროები, სადაც საქართველოს უმადლესი სახელმწიფო ორგანოები განსაკუთრებულ საკანონმდებლო და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები განსაკუთრებულ აღმასრულებელ უფლებამოსილებას ახორციელებენ.

- ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, ემიგრაცია-იმიგრაცია, საქართველოში შემოსვლა-გასვლა, უცხო მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებითი ან მუდმივი ყოფნა;
- საბანკო, საკრედიტო, სადაზღვეო, საგადასახადო სფეროები;
- სტანდარტები, ეტალონები, გეოდეზია, კარტოგრაფია;
- განათლების სფერო: პროგრამები, საშუალო და უმაღლ. სასწავლებლების ატესტაცია და აკრედიტაცია, აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული წოდებები და ხარისხები;
- ინტელექტუალური საკუთრება;
- სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო სამართლის სფეროები;
- მიწა, წიაღისეული და ბუნებრივი რესურსები;
- ფარმაცევტული პრეპარატები;

2.2.3.10 დასმული მიზნებისა და ამოცანების უკეთ განხორციელებისათვის, ასევე მუშაობის კოორდინაციის მაღალი დონის მისაღწევად, ფედერაციის ცენტრისა და ფედერაციის სუბიექტების რომელიმე სფეროს პასუხისმგებელ მინისტრებს შორის წელიწადში ერთხელ იმართება მინისტრების კონფერენციები. (არ არის აუცილებელი ყველა სფეროს მოცვა, შესაძლოა ავიღოთ შემდეგი სფეროები: განათლება, შინაგანი უსაფრთხოება, ეკონომიკა-ფინანსები, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი; სპორტი).

2.3 დანამატი სამხედრო საკითხების შესახებ

ორივე მხარისთვის სამხედრო საკითხების მნიშვნელობისა და იმავდროულად “სენსიბელურობის” გათვალისწინებით, შესაძლებელია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

2.3.1 სამხრეთ ოსეთის ოსი ეროვნების მოქალაქეთა საქართველოს სამხედრო ვალდებულებისაგან გარკვეული ვადით განთავისუფლება, სანამ ორივე მხარის წარმომადგენელი არ მიიჩნევს საჭიროდ ამ რეგულირების გაუქმებას. პროფესიული-საკონტრაქტო წესისა და ალტერნატიული სამსახურის შემოღებით ეს პუნქტი ისედაც დაკარგავს მნიშვნელობას.

2.3.2 სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გარკვეული ვადით არ განთავსდება საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები, რიგი გამოწვევების გარდა (ცალკე დასაზღვევია მხარეებს შორის).

2.3.3 საქართველოს ლეგიტიმური უფლების გათვალისწინებით სახელმწიფო საზღვრების კონტროლის უზრუნველსაყოფად და ოსური მხარის მოსალოდნელი ნეგატიური პოზიციის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოხდეს საქართველოს სასაზღვრო მონაკვეთზე საქართველოს მესაზღვრეთა შეზღუდული რაოდენობით განლაგება (გარდამავალ პერიოდში). დასაშვებია ამ წინადადების მეორე ვარიანტიც, ანუ სასაზღვრო მონაკვეთზე საწყის ეტაპზე სამხრეთ ოსეთისა და საქართველოს სასაზღვრო უწყების წარმომადგენელთა ერთობლივი მუშაობა.

2.3.4 სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პოლიციურ სისტემაში სამსახური შესაძლებელია ჩაითვალოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან წვევამდელთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლად.

2.3.5 სხვა კონკრეტული საკითხები, მათ შორის ოსური სამხედრო ფორმირებების სამომავლო ბედი (დასაშვებია მათი საწყის ეტაპზე არსებობა, თუმცა ტრანსპარენტულობისა და შემცირების სანაცვლოდ), ცალკე შეთანხმების საგანი იქნება.

2.4 დანამატი ეკონომიკური საკითხების შესახებ

დანამატი ეკონომიკური საკითხებს შესახებ შედგება ერთი მხრივ “ეკონომიკური კონსტიტუციიდან” - ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრის შეთანხმებისაგან, რომელსაც კონსტიტუციური კანონის ძალა ექნება და მეორეს მხრივ, შეთანხმებისაგან რესტიტუციის შესახებ.

2.4.1 ეკონომიკური კონსტიტუცია

2.4.1.1 დაწერილებით განსაზღვრავს ეკონომიკური საქმიანობის (სოციალური, საბანკო, საფინანსო-სავალუტო, საკრედიტო, სადაზღვევო, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, საგრანტო, სუბსიდირების, სოციალური სოლიდარობის უზრუნველყოფისა და ცალკეული პროგრამების განხორციელების) კომპეტენციებს ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერაციის სუბიექტებს შორის.

2.4.1.2 ზუსტად ადგენს გადასახადებისა და მოსაკრებლების ამოღების მექანიზმისა და განაწილების წესს, ასევე პოსტკონფლიქტურ ზონაში ფედერაციის ცენტრისა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ შეთანხმებულ სპეციალურ ეკონომიკურ ღონისძიებებს (თავისუფ. ეკონ. ზონა ან საგადასახადო შეღავათები, სუბსიდიები, კრედიტები და ა.შ.)

მაგალითად:

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას აქვს საკუთარი საფინანსო-საბიუჯეტო სისტემა, რომელიც შემდეგი სახსრებისაგან შედგება:

- ✓ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კომპეტენციაში მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემული გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან;
- ✓ შიდა რესპუბლიკური გადასახადების, მოსაკრებლებისა და სპეციალური შენატანებისაგან;
- ✓ ფინანსურ-სოციალური სოლიდარობის პრინციპიდან გამომდინარე ცენტრალური სოლიდარობის ფონდიდან გაცემული თანხებისა და სხვა პირდაპირი ტრანსაქციებისაგან;
- ✓ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონებიდან მიღებული შემოსავლებისაგან;

- ✓ საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლებისაგან; და ა.შ.

2.4.2 შეთანხმება რესტიტუციის შესახებ

შეთანხმებას რესტიტუციის შესახებ საფუძვლად დაედება “კანონი რესტიტუციის შესახებ” და დამატებითი მუხლები, შეთანხმებული საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას შორის. ის მოიცავს:

- რესტიტუციის საგანს;
- რესტიტუციის კომისიის შექმნის საკითხს, მის ფუნქციებსა და მოვალეობებს (რეგისტრაცია, მასალების შეგროვება, გადაწყვეტილების მიღება-აღსრულება, აღსრულებაზე ზედამხედველობა, რესტიტუციის უფლების მქონე პირთა დადგენა);
- რესტიტუციის განხორციელების მექანიზმი-ფორმა (ქონების დაბრუნება, უფლების დაბრუნება, კომპენსაცია, რესტიტუციის განხორციელების მკვეთრი ვადების დადგენა).

3. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის გარანტორი

3.1 შესაძლებელია გამოყენებული იქნას საერთაშორისო გამოცდილება, როცა ტერიტორიული ერთეულის პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსს ენიშნება საერთაშორისო გარანტორები (გარკვეული ვადით)

3.2 გარანტორებად შეიძლება განვიხილოთ რომელიმე სახელმწიფო (ან სახელმწიფოთა ჯგუფი), საერთაშორისო ორგანიზაცია, ან ორივე ერთად.

3.3 გარანტორების მუშაობის ფორმა განისაზღვრება მხარეთა კონსულტაციების და ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.